



ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

1.11.2012-25.04.2013

წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგენთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 6 თვის მონაცემებს. ანგარიშში მოცემულია 2012 წლის პირველი ნოემბრიდან 25 აპრილის ჩათვლით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული მუხლით შემოსული ყველა განცხადება, რაც მოიპოვება სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და სამინისტროს საქვეუწყებო სამსახურებში, კერძოდ: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს დაქვემდებარებული ყველა ქვეუწყებვა არ წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მათი ბიუჯეტის მხოლოდ ნაწილს აფინანსებს სახელმწიფო და ამ უწყებების თანამშრომლები არ არიან საჯარო მოხელეები. ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, ამ უწყებებზე იგივე სიმკაცრით არ ვრცელდება, როგორც სამინისტროს სამსახურებზე ან ამ სამსახურებში დასაქმებულ მოხელეებზე.

ანგარიშში შესულია სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მონაცემები, თუმცა, აქვე ავლნიშნავთ, რომ გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასა და მუნიციპალური განვითარების ფონდზე სხვაკ-ით გათვალისწინებული ვალდებულებები მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდება. სხვა ქვეუწყებებში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით განცხადება 6 თვის განმავლობაში არ შესულა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სრულად აცნობიერებს საზოგადოების წინაშე საკუთარ ანგარიშვალდებულებას. ის მოქმედებს კანონისა და დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით და ცდილობს, უზრუნველყოს მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის მოქალაქეებისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და გაცემის წინა წლებში არსებული პრაქტიკის შესწავლის შედეგად, უწყება საჭიროდ თვლის, შეიმუშაოს სტანდარტები, რაც გააუმჯობესებს ჩვენს ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის დროულად, კანონით დადგენილ ვადებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში გაცემას, ასევე, გაზრდის სამინისტროს საქმიანობისა და საბიუჯეტო სახსრების განკარგვის გამჭვირვალეობას.

ამ გარემოების გათვალისწინებით, სამინისტრო მზადაა, მიიღოს და გაითვალისწინოს სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოების რეკომენდაციები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებში, რაც მას დაეხმარება, დახვეწოს და უფრო ეფექტურად

აღასრულოს საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით გათვალისწინებული ვალდებულება მომავალში.


❖ **საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობრივი აღწერა**

2012 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 25 აპრილის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა (სამსახურის უფროსი ამავდროულად არის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ქვე-უწყებებში (საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში) სულ 67 განცხადება შემოვიდა, საიდანაც სამინისტრომ და მისმა ქვე-უწყებებმა რეაგირება ყველა შემოსულ წერილზე მოახდინეს.

67 წერილიდან:

- ✓ 57 მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა.
- ✓ 4 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- ✓ 1 მოთხოვნაზე უარი გაიცა.
- ✓ 2 მოთხოვნაზე განმცხადებელს ეცნობა, რომ სამინისტროს შესაბამისი ინფორმაცია არ მოეპოვება.
- ✓ 3 მოთხოვნაზე სამინისტრომ უფლებამოსილ დამოუკიდებელ უწყებებს გადაუგზავნა წერილი, რის შესახებაც ეცნობათ განმცხადებელსაც. თუმცა, ამ უწყებების მიერ გადამისამართებულ განცხადებებზე რეაგირების შესახებ სამინისტროს ინფორმაცია არ მიუღია.

დიაგრამა #1



❖ **სამინისტროს ქვეუწყებებში, დეპარტამენტებსა და სხვა დაწესებულებებში გადამისამართებული მოთხოვნების შესახებ**

33 განცხადება, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში შემოსვლის შემდეგ, სხვა ქვე-უწყებებში, სამინისტროს დეპარტამენტებსა და მუნიციპალიტეტების საკრებულოებში გადაიგზავნა. ხოლო დანარჩენი - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, საქართველოს მინიციპალური განვითარების ფონდსა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შევიდა.

გადამისამართებული განცხადებებიდან 4 მათგანი გადაიგზავნა დამოუკიდებელ უწყებებშიც:

- ✓ 1 მოთხოვნა - გადამისამართდა ლაგოდეხის, თერჯოლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების საკრებულოში.
- ✓ 1 მოთხოვნა - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში.
- ✓ 1 მოთხოვნა - შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზაში“.
- ✓ 1 მოთხოვნა - ქალაქ ქუთაისის მერიაში.

მონაცემების შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა სურათი, სადაც გამოჩნდა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი 10 დღიანი ვადა უმეტესწილად დაცულია, თუმცა აღინიშნა შემთხვევებიც, როცა 10 დღიანი ვადის გადაჭარბებასაც ჰქონდა ადგილი.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას კანონით დადგენილი 10 დღიანი ვადის გადაცილების აღმოსაფხვრელად, სამინისტრო ინტენსიურად იმუშავებს.


მონაცემების შემოწმებისას დადგინდა, რომ:

- ✓ 5 მოთხოვნაზე პასუხი გაიცა დაუყოვნებლივ.
- ✓ 42 მოთხოვნაზე 10 დღის განმავლობაში
- ✓ 20 მოთხოვნაზე 10 დღის გადაჭარბებით.

იმ 20 მოთხოვნიდან, რომლებზეც პასუხი 10 დღის გადაჭარბებით გაიცა, 15 მათგანი სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ქვე-უწყებებს გადაეცათ რეაგირებისთვის ან მათთან პირდაპირი წესით შევიდა. 15-დან 9 განცხადება ქვე-უწყებებს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მეშვეობით გადაეცათ.

გარდა ამისა, 5 განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე, 2012 წლის იანვარში, აპრილსა და მაისში, სამინისტროში მმართველი რგოლის შეცვლამდე შემოვიდა. მათზე უწყებას რეაგირება თვეების განმავლობაში არ მოუხდენია. აღნიშნულ განცხადებებს პასუხი ახალი ადმინისტრაციის პირობებში გაეცა.

დიაგრამა #2



3 განცხადებიდან, რომელთა პასუხის გაცემის თარიღის შესახებ სამინისტროს ინფორმაცია არ გააჩნია, გადაიგზავნა:

- ✓ 1 მოთხოვნა - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში.
- ✓ 1 მოთხოვნა - შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზაში“.
- ✓ 1 მოთხოვნა ქალაქ ქუთაისის მერიაში.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ ინფორმაცია იმის თაობაზე, გასცეს თუ არა პასუხი მათთან გადამისამართებულ მოთხოვნებს, სამინისტროსთვის არ მოუწოდებიათ. თუმცა, მოთხოვნის მათთან გადაგზავნის შესახებ განმცხადებლებს მალევე ეცნობათ.

❖ უარის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში, განმცხადებელს უნდა ეცნობოს საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში. შესწავლილი განცხადებებიდან, რომელთაგან უარის შესახებ ორივე მათგანს ეცნობა, გამოიკვეთა, რომ:

- ✓ 1 მოთხოვნა - პასუხი ეცნობა მეორე დღესვე.

უარი გაიცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით.

უარი, რომელიც საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ გასცა, გამყარებული იყო **სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილით**, რომლის მიხედვითაც, გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ-ერთი თანამშრომლის შესახებ პერსონალურ ინფორმაციას წარმოადგენდა. ქვეუწყება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და კომპანიის განმარტებით, მათი თანამშრომლის ხელფასისა და პრემიების შესახებ ინფორმაცია საჯარო ინფორმაცია არ არის. კომპანიის თანამშრომლები კი საჯარო მოხელეები არ არიან.

❖ საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია, დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა“.

ამასთანავე, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია, განსაზღვროს წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა.

საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განმსაზღვრელი აქტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს არ გააჩნია და მოსაკრებლის გარეშე გასაცემი ინფორმაციის მინიმალური ზღვარი დადგენილი არ აქვს.

6 თვის განმავლობაში, სამინისტროს მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯებმა ასლის მოსაკრებლის სახით, ჯამში შეადგინა **73.11 ლარი**.

❖ ადმინისტრაციული საჩივარი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ან მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებში ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო ინფორმაციის არგაცემისთვის არ შემოსულა.

❖ საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ

ბოლო 6 თვის განმავლობაში მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სამინისტროში არ შემოსულა. შესაბამისად, შესწორებები საჯარო ინფორმაციაში არ განხორციელებულა.

❖ საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

ბოლო 6 თვის განმავლობაში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევისთვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევები არ ყოფილა.

❖ მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ფუნქციონირებს ელექტრონული კანცელარია, სადაც თავს იყრის ყველა სახის კორესპონდენცია. სამინისტროს არ გააჩნია ცალკე საჯარო მონაცემთა ბაზა.

უწყებას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის უფლებამოსილებაც მინიჭებული აქვს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს ელექტონულ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაზე გადასვლას. ამჟამად აწარმოებს ბეჭდური სახის მონაცემთა ბაზას.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი იურიდიული დეპარტამენტია, რომელიც ელექტრონულ ბაზას 2012 წლის დეკემბრიდან აწარმოებს. გარდა ამისა, საჯარო მონაცემთა ბაზას ელექტრონული და ბეჭდური სახით აწარმოებს უწყების კანცელარია და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიც.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას საჯარო მონაცემთა ბაზა არ გააჩნია, რადგან ის არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას. მასზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხშირ შემთხვევაში არ ვრცელდება.

❖ დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სამინისტროს აშკარა პროგრესი აქვს, არსებობს საკითხები, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა დაიხვეწოს. პირველ რიგში, ეს ეხება სზაკ-ით გათვალისწინებული ვადების მაქსიმალურ დაცვას და ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის მიმართულებით ვითარების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ვგეგმავთ, დანერგოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და გაცემის პრაქტიკა, რაც სამინისტროს ახალი ვებ-გვერდის ამოქმედებისთანავე გახდება შესაძლებელი.

აქვე, აღსანიშნავია, რომ, მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია - პროექტები, ბიუჯეტები, პროგრამები, ანგარიშები. თუმცა, ამ მიმართულებითაც მოვახდინეთ პრობლემათა იდენტიფიცირება და მის გამოსწორებას ეტაპობრივად ვახდენთ.

ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო იყოს ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე, საჯარო და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი დაწესებულება. ამიტომაც მზად ვართ, ვითანამშრომლოთ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა ამ მიზნის მიღწევა უმოკლეს ვადებში სრულფასოვნად შევძლოთ.